სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის ექვს ოქტომბერს მე, **ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #49, კვარტალი 1, კორპუსი 3, ბინა 1, მომმართა **როლანდი მატარაძემ**. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **როლანდი მატარაძემ** (დაბ. 02.04.1945წ. პ/ნ **01010012834**, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი შალვა ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 10ბ ბ. 60) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, წავუკითხე მიმნდობს, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, ასევე ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული მინდობილობა, რის შემდგომაც **მან** თავადაც წაიკითხა მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, **როლანდი მატარაძე** (დაბ. 02.04.1945წ. პ/ნ **01010012834**, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი შალვა ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 10ბ ბ. 60) - "მიმნდობი", **ალექსანდრე ჯობავას** (დაბ. 24.07.1974წ. პ/ნ **62006030542**) - "მინდობილი პირი", ვანიჭებ უფლებამოსილებას, თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ცაცხვების III შესახვევი, N 14 (ს.კ. 01.10.18.009.177), დაკავშირებით, იყოს ჩემი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, მოახდინოს ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ცვლილება, შეათანხმოს და მიიღოს მშენებლობის ნებართვა, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი განცხადება, ცნობა, დოკუმენტი, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **18 (თვრამეტი)** ლარი ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.7-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური **5 (ხუთი)** ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). **სულ გადახდილია 23 (ოცდასამი) ლარი.**

მიმნდობი ----------

ნოტარიუსი ---------- /სოფიკო გობეჯიშვილი/

საქართველო GEORGIA NOTARY SOFIKO GOBEJISHVILI 62001027271

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

11021154618122

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N22135643 9

რეგისტრაციის თარიღი

06.10.2022 წ

ნოტარიუსი: სოფიკო გობეჯიშვილი
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი 3,ბინა N1
ტელეფონი: 2 725310

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18